№ 138

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 1 მან.

ერთიანი
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 26 ივნისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

ჩაიდება ხელის ბოწერა 1919 წლისათვის.

ბოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. საფალდებულო განცხადებანი დადგენილი, ნიხრით, ყერძო განცხადებანი ბრალობებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან საშუადღევის 4 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

ოფიციალური განყოფილება.

კანონი

სამთო-სამმართველოს სასინჯი განყოფილებისა.

1. გაუქმებულ იქნეს ამიერ-კავკასიის საოლქო სასინჯი სამართველო საქართველოს ტერიტორიაზედ.

2. ზემოხსენებულ სამართველოს (ბუხ. I) ყველა მოხელე დატოვებულ იქნეს შტატგარეშე და ვინც ჩარიცხულ არ იქნება ახლად დაარსებულ სასინჯ განყოფილებაში (ბუხ. 3 ამა კანონისა), მიეცეს სალიკვიდაციო შემწეობა საერთო წესით.

3. დაარსდეს საქართველოს სამთო-სამართველოსთან სასინჯი განყოფილება. გადაეცეს ამ სამართველოს ყოველი ქონება და საქმე ამიერ-კავკასიის საოლქო სასინჯი სამართველოსი და დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული შტატი.

4. მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდან სამთო-სამართველოს ახლად დაარსებული სასინჯი განყოფილების შესანახად თანახმად ამ კანონთან დართულ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა ამა წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე სულ 26375 მან. შემდეგი განაწილებით:

I) შტატ გარეშე დარჩენილთა დასაკმაყოფილებლად სალიკვიდაციო შემწეობად 2.000 მან.

II. ამ კანონთან დართულ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისათვის 25.375 მან.

5. ამიერ-კავკასიის საოლქო სასინჯი სამართველოს კრედიტი ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვისა პირადი შედგენილობისათვის დახურულ იქნეს.

6. გადაცემულ იქნეს საქართველოს სამთო-სამართველოს გაკარგულებაში ამიერ-კავკასიის გაუქმებულ საოლქო სასინჯ სამართველოს ყოველი ანგარიში.

1919 ხ. ივნისის 17-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

სამთო-სამმართველოს სასინჯი განყოფილების შტატი.

№№ რიგებ.	თანამდებობა.	ნიცხვი.	წლიური ჯამაგირი თვითეულს.		ყველას იანვრის 1-დან ივნისის 1-დე.		შენიშვნა:
			მან.	კაპ.	მან.	კაპ.	
1.	განყოფილების უფროსი	1	9000	—	3750	—	
2.	უფროსი მსინჯველი	1	7800	—	3250	—	
3.	უმცროსი „	2	7200	—	6000	—	
4.	მსახური	1	3600	—	1500	—	
5.	დამატებითი ჯამაგირი სამთო-სამართველოს მდივანს	1	600	—	250	—	
	ჯამი	—	35400	—	14750	—	
	დამატება:		**წლიურად.**		**1919 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე.**		
			მან.	**კაპ.**	**მან.**	**კაპ.**	
	საკანცელარიო და საშეურნ. ხარჯი		5500	—	2291	66	
	ტეხნიკური მასალა		3500	—	1458	33	
	ახალი დღლების შეძენა		1500	—	625	—	
	საფოსტო გადასახადი		1000	—	416	66	
	ბინის ქირა		1200	—	500	—	
	გათბობა და განათება		1200	—	500	—	
	სასინჯი სამმართველოს გადატანა სამთო სამმართველოში		3000	—	3000	—	
	საგზაო და საკვები ხარჯი		2000	—	833	33	
	ჯამი		18900	—	9624	98	
	სულ		54300	—	24374	98	

1919 წ. ივნისის 17-ს.

საქართველოს დამფუძნებული კრების
თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

განკარგულება

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

№ 31.

15 ივნისი, 1919 წ.

დანიშნულია: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე მე-3 ხარ. ტფილისის ტელეფონის ქსელის ალექსანდრე გაევსკი ზედამხედველად მაღალი ჯამაგირით იმავე ქსელზედ 1 აპრილიდან 1919 წ.

დამტკიცებულია: დროებით დაშვებული ზედამხედველის თანამდებობის ვალდებულობის აღმასრულებელი სულთან ოვეის მირზა კაჯარი ზემოაღნიშნულ თანამდებობაზედ 1 ივნისიდან 1919 წ.

გადაყვანილი არიან: ზედამხედველები ჩოხატაურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა დაბალი ჯამაგირისა ვიქტორ სანაია, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველის თანამდებობის აღმასრულებლები დაბალი ჯამაგირისა ფოთის—ვიქტორ კაპარავა, მანგლისის—ბეგლარ ცინცაძე, ალექსანდროპოლის-პოლიკარპე (იგივე იპოლიტე) ჯიჯიეშვილი იმავე წოდებით: სანაია ფოთში, ჯიჯიეშვილი მანგლისში, კაპარავა ბანძაში, ცინცაძე ჩოხატაურში. სულ ყველანი 16 ივნისიდან 1919 წ., მხოლოდ სანაია და ცინცაძე თანახმად თხოვნისა.

დახოვნილი არიან სამსახურიდან: დროებით აღმასრულებელი ზედამხედველის თანამდებობისა ტფილისის ტელეფონის ქსელისა დაბალი ჯამაგირისა ივანე ბლიუმე, აღმასრულებელი მექანიკოსის ვალდებულობის მაღალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორის კარლ ერტბერი ორივე პირველ აპრილიდან 1919 წ.

გამოიცხულია სამსახურიდან: დროებით აღმასრულებელი ზედამხედველის თანამდებობისა ტფილისის ტელეფონის ქსელის დაბალი ჯამაგირისა ვიქტორ კახატელიძე 1 ივნისიდან 1919 წ.

ოლქის უფროსი **მგელაძე.**

საქმის მწარმოებელი **თულაშვილი.**

ოფიციალური განყოფილება

ფინანსთა სამინისტროში

კონდრაბანდა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მწრეწველობის სამინისტრომ ყურადღება მიაქცია, რომ საქართველოში დიდძალი საქონელი შემოდის კონდრაბანდათ. ხსენებულმა სამინისტრომ სთხოვა გზათა სამინისტროს, რათა უკანასკნელმა მიიღოს ზომები რკინის გზებზე კონდრაბანდათ არ შემოდიოდეს საქონელი.

გზათა სამინისტრომ თავის თავად მიმართა ადერბეიჯანის მთავრობას, რომ მათაც მიაქციონ ყურადღება ამ მდგომარეობას და მიიღონ ზომები, რათა ბაქოდან არ გამოდიოდეს კონტრაბანდათ საქონელი.

შრომის სამინისტროში.

პენსიები.

შრომის სამინისტროს მუშათა დამზღვევ კომისიამ დაუნიშნა პენსიები: 1) მარქარიანცს (მთვარაძის ბამბის ქარხნის მუშას) წლიურად 179 მან. 2 კ., 2) კუპიტაძეს (ტრამვაის მუშას) 139 მ. 20 კ. 3) სოფიო ფანკულიძეს (მთვარაძის ქარხნის მუშას) 16 მან. 77 კ. 4) გაბუნიას (საჭილაოს ხე-ტყის ქარხნის მუშას) 139 მ. 20 კ.

5) გოგებაშვილს (მესხიშვილის ლიტოგრაფიის მუშას) 163 მ. 79 კ.

6) ლეილოიანცს (ტრამვაის მუშას) 289 მ. 51 კაპ.

7) კაკოიშვილს (ტრამვაის მუშას) 29 მან. 64 კაპ.

8) როსტიაშვილს ეფემიას (მთვარაძის ქარხნის მუშას) 416 მან. 26 კ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

განთავისუფლება.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით განთავისუფლებულ იქნა მღვდ. დონდოლაძე, რომელსაც შემოქმედის მონასტრის გაქურდვაში მონაწილეობა ბრალდებოდა.

სახალხო განათლების სამინისტროში

თელავის ერობის შუამდგომლობა რეკვიზიციის შესახებ.

თელავის მაზრის ერობის გამგეობამ საგულისხმიერო შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ერობას მიენიჭოს უფლება შენობათა და ბინების რეკვიზიციისა სკოლის და მოზარდ თაობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ეს შუამდგომლობა, როგორც თელავის ერობა იუწყება, გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: ერობას მომავალ სასწავლო წლიდან განუზრახავს გახსნას ათი სრულიად ახალი სკოლა და გარდა ამისა გააფართოვოს ზოგიერთი უკვე არსებული სკოლები. რა თქმა უნდა, დღევანდელს, განსაკუთრებულ პირობების გამო ერობისთვის ძნელი მოსახერხებელი იქნება სკოლებისთვის სრულიად ახალ შენობათა აგება, სახლის პატრონებთან კი ნებაყოფლობითი შეთანხმება თავიანთ სახლების სკოლის მოთხოვნილება-საჭიროების და გვარად მოწყობა—გადაკეთება საძნელო საქმეს წარმოადგენს და, თუ არა რეკვიზიციის დახმარებით, ისე საყოველთაო სწავლის თელავის მაზრაში შემოღება შეუძლებელი გახდებაო.

სამინისტროში სამუშაო დრო.

მომდინარე თვის 19-დან სახალხო განათლების სამინისტროს კანცელარიაში მუშაობა იწყება დილის რვა საათზე, ხოლო სრულდება ნაშუადღევის ორ საათზე. წინად მოხელენი სამუშაოზე დგებოდნენ დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე.

რუსეთიდან ქართულ პროფესორების ჩამოყვანის შესახებ.

როგორც მკითხველს ეხსომება, ამას წინად ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. პ. მელიქიშვილი აცნობებდა განათლების სამინისტროს, რომ მომავალ შემოდგომიდან ათსემესტრ დამთავრებულ სტუდენტ-მკურნალებისთვის შეიძლება მოეწყოს სახელმწიფო გამომცდელი კომისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა დაეხმარებოდა უნივერსიტეტს რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში სამსახურად მყოფ ქართველ პროფესორების (ალ. ალადაშვილი, ს. ამირეჯიბი, პ. ჭეიშვილი, ნ. კახიანი, ივ. ბერიტაშვილი და შ. კრინიცკი-დარახველიძე) ქალ. ტფილისში დროზე ჩამოსვლაში. განათლების სამინისტრომ ამის საპასუხოდ ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტს წინადადება მისცა აღძრას ცალკე შუ-

ამდგომლობა მის განცხადებაში აღნიშნულ ქართველ პროფესორთა ქ. ტფილისის ჩამოყვანაში დახმარების აღმოჩენის შესახებ და საამისოდ ზომების მიღების თაობაზე.

მიკროსკობების შესახებ.

ტფილის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის პროფესორი ალბერტ სიმონის ძე გინზბურგი, რომელიც მოკლე ხანში ტფილისიდან უცხოეთში (რუსეთისკენ) გამგზავრებას აპირებს, შესაძლებლად სცნობს ტფილისში არსებულს რომელიმე სამეცნიერო დაწესებულების დაუთმოს თავის კუთვნილი თერთმეტი მიკროსკობი. ეს მიკროსკოპები, ქართულ ტექნიკურ საზოგადოების ცნობით, კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიაში მეცადინეობის დროს უსაჭიროეს იარაღს წარმოადგენს, და ამიტომ სხსენებული საზოგადოება სურვილს გამოსთქვამს ბ-ნ გინზბერგისაგან რამენაირად შეიძინონ ეს მიკროსკოპები ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჭიროებისათვის.

შეშა სოფლის სკოლებისთვის.

თელავის სამაზრო ერობა შუამდგომლობს განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ განკარგულება მოახდინოს თელავის მაზრის სასოფლო სკოლების საჭიროებისათვის უფასოდ დაეთმოთ სახაზინო ტყეებიდან შეშად ხე-ტყე, თვითეულ სკოლაზე ხუთიდან შვიდ საჟენამდე.

საინჟინერო უმაღლესი სასწავლებელი.

უმაღლეს და საშუალო სასწავლებელთა მთავარ გამგის მოვალეობის აღმასრულებელმა სერგო დანელიამ ინჟინრებს ანდრიანოვს და შერმაზანოვს, რომელთაც შარშან შემოდგომაზე დაარსეს კერძო საინჟინერო კურსები, ნება დართო გამოუცვალონ სახელწოდება ამ კურსებს, რომელთაც დღეიდან ეწოდება: „ტფილისის კერძო უმაღლესი საინჟენერო სასწავლებელი“ იმ პირობით კი, რომ სასწავლებელი იმოქმედებს სახალხო განათლების სამინისტროს-მიერ დამტკიცებულ წესებით.

რაუდენ არსენიძის სიტყვა

წარმოთქმული დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომაზე, ივნისის 22-ს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს არსენიძეს.

რაუდენ არსენიძე. (ს.-დ.) მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ხელშეკრულება, რომელიც თქვენ დღეს აქ უნდა დაამოწმოთ, დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ ეს სხოლოდ პირველი ნაბიჯი, პირველი აქტია იმ დიდ გზის, რომლითაც ჩვენ სიარული გვწადია, რომლითაც ჩვენ დიდი ხანია მივდივართ და რომელსაც ჩვენ ვერასოდეს ვერ გადაუხვევთ.

ჩვენ, როგორც სოციალისტებს, როგორც დემოკრატებს და მუშათა კლასის წარმომადგენლებს, მუდამ გვაქვს ჩვენ მთავარ დევიზათ ერთი რამ: სოლიდარობა ხალხთა შორის და განმტკიცება ურთიერთ შორის ძმობის და ამხანაგობის; ეს იდეალი, რომელსაც მუშათა კლასი, უპირველეს ყოვლისა, ატარებს, როგორც თავის ბაირაღს, თავის დროშას,—ისე ადვილად, ისე მარტივად, ისე იოლად, არ ტარდება ცხოვრებაში, არ ხდება კონკრეტიულ მოვლენად, როგორც ეს შეიძლება ჩვენ გვსურდეს. მხოლოდ ხანგრძლივ ბრძოლით, მიხვევ-მოხვევით, მრავალ პირობებთან შეგუების და მრავალ დაბრკოლების გადალახვის შემდეგ შევძლებთ ჩვენ ასე თუ ისე მტკიცეთ და საბოლოოდ გადადგმულ ნაბიჯით მოვიპოვოთ ესა თუ ის პოზიციები ამ ნიადაგზე. ამ მხრივ, აი ამ გზით ჩვენი იდეალი იყო, არის დღესაც და იქნება მომავალშიაც, განმტკიცება სოლიდარობისა ყველა ერთა შორის, უპირველეს ყოვლისა ეს იდეა უნდა იყოს ჩამოსხმული კონკრეტიულ ფორმაში მახლობელ მეზობელთან. ყოველი ჩვენი ცდა, რომელსაც დღემდის ხშირად ერის ღალატად გვითვლიდნენ, როდესაც ჩვენ გვსურდა მთელ რუსეთის ფარგლებში ყველა ერების სოლიდარობა, როდესაც ჩვენ გვსურდა და ვიბრძოდით ყველა ერების სოლიდარობისთვის კავკასიაში ტ ამიერ-კავკასიაში, ყველა ეს ბრძოლა ხშირად შეიძლება გვეთვლებოდა ნაკლად ზოგიერთ მიმდინარეობისაგან. მაგრამ მე ვამბობ, რომ დღეს, როდესაც ჩვენ ხელახლად შეუდექით სოლიდარობის იდეის აღოგენას და მის რეალურ ფაქტად გადაქცევას, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დღეს უკვე არ იქნება ისეთი მიმდინარეობა, რომელსაც შეეძლოს სთქვას, ეს გზა არ არის სწორე, არ არის მისაღები, არ არის დემოკრატიულიო. მე მგონია, რომ ჩვენ გადავლახეთ, დავძლიეთ დიდი ისტორიული მსვლელობა, რომლიდანაც ჩვენ დღემდის უკან ვიხევდით. ეს აშკარად უნდა ვსთქვათ.

დიდი რევოლიუციის შემდეგ ჩვენი მოქმედების ფარგლები, ჩვენ მუშაობა, რომელშიაც ჩვენ გვინდოდა გაგვეშალა ფრთა, საზღვრები ამ მუშაობისა, თანდათან მცირდებოდა და პატრავდებოდა თავის გარემოს, და თავის სივრცის რაოდენობით. და ეს უკან დახევა ჩვენ არც მაშინ მიგვაჩნდა საბოლოო დამარცხებათ იმ იდეისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებოდით.

მე მახსოვს აქ, ამ ტრიბუნიდან წარმოთქმული მქუხარე სიტყვა, რომელიც ამბობდა რომ თავგანწირულად ვიბრძვით და ხმალს არ დავაგდებთ, სანამ უკანასკნელ პოზიცია მაინც არის ჩვენს ხელთო. ჩვენ შეგვიძლიან დღეს ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელი პოზიციებიდან გვაქვს საშუალება ისევ წინ წავიწიოთ, სოლიდარობის იდეის დროშით მეგობრები გავიჩინოთ და ერთა შორის მტრობის მაგივრად სოლიდარობა, ძმობა და მეგობრობა გავაჩაღოთ. ამ მხრით ჩვენ გადავდგით ერთი ნაბიჯი, პირველი ნაბიჯი—ესაა ჩვენსა და ადერბეიჯანს შორის დადებული შეთანხმება,—მესამე რესპუბლიკისთვის კი მუდამ არის კარი ღია და ამით აშკარად ვეუბნებით ჩვენ სომხის დემოკრატიას კმარა ის, რაც განცალკევებული ვიყავით. დრო არის თანდათან გაიბას ძაფი მეზობლიდან მეზობლამდე, ერიდან ერამდე, რომ ის საშინელი ანარქიის ცეცხლი, რომელიც დასრიალებს თავს ჩვენ ქვეყანას, ამიერ კავკასიის დემოკრატიას, ჩაქრობილ იქნეს ერთა სოლიდარობის დროშის გამარჯვებით.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენი დაშლის პროცესი წინანდელ ხანაში იყო შედეგი არა იმდენად შინაური ურთიერთობისა, რამდენადაც გარეშე ძალ-დატანებისა, ყველამ იცით, რომ სეიმი დაინგრა ოსმალეთის ხიშტების ქვეშ, ყველამ იცის, რომ ამიერ-კავკასია მოსწყდა რუსეთს იმ ვეებერთელა ანარქიის გამო, რომელსაც კომუნისტური მოძრაობა ჰქვიან და იმ დიდ ისტორიულ შეცდომის წყალობით, რომელსაც ბრესტის ხელშეკრულება ეწოდება. ჩვენ ვიცით, რომ გარეშე ძალები ანგრევდნენ, ამსხვრევდნენ იმ მთლიანობას, რომელიც იყო ყოველთვის მთავარი სიძლიერის წყარო ჩვენ დემოკრატიისთვის, და დღეს, როდესაც ანარქიის ტალღების ტრიალმა დააყენა საბოლოოთ ქართველი ერის სამკვდრო სასიცოცხლო საკითხი, საკითხი ჩვენი უკანასკნელი პოზიციების ყოფნა არ ყოფნისა, მე ვხედავ ამ ახალ აქტში ჩვენი მთავრობის ღირსეულ მუშაობას. ჩვენმა მთავრობამ ნაბიჯი გადასდგა, გაბედულ ნაბიჯით გასწია წინ და გააფართოვა ძალა ხალხისა და დემოკრატიის, და აი ამ ხელშეკრულობას, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, ჰყავს უკვე ერთი უტყუარი დამცველი, ერთი მთავარი რეალური ძალა, რომელსაც არასოდეს არც უღალატნია და ვერც უღალატებს,—ეს გახლავთ დემოკრატია საქართველოსი და დემოკრატია ადერბეიჯანისა, ეს გახლავთ ის ელემენტები, რომელნიც თავიდანვე მხოლოდ ერთგვარ ძალდატანების გამო ჩამოშორდენ ერთი მეორეს და რომელნიც ყოველივე წუთს, ყოველ ჟამს მზად იყვნენ ერთი მეორესთვის ხელი გაეწოდებიათ. დენიკინის საფრთხეს და რუსეთის საშიშრობის გამო ჩვენ დღეს ვართ უკვე არა დანგრევის და დარღვევის პროცესში, არამედ სოლიდარობის და ურთიერთობის განმტკიცების პროცესში, ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გადავლახეთ ბევრი დაბრკოლებანი, და შეგვიძლიან დავიწყოთ ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა, შეგვიძლიან შევუდგეთ რეალურ დემოკრატიულ პოლიტიკის განხორციელებას. ჩვენ ვდგევართ სოლიდარობის დროშის ქვეშ და მასზე, როგორც მომქმედი საყოველდღეო ლოზუნგი, დავაწერეთ ლოზუნგი ერთა სოლიდარობისა.

რასაკვრელია, დემოკრატია ვერ იქნება სავსებით დაკმაყოფილებული იმით, რაც დღეს მოგვიხერხებია, მე ვამბობ, რომ ეს არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი და ჩვენთვის კი საჭირო არის არა მარტო პირველი ნაბიჯი, არამედ ყველა ნაბიჯები უკანასკნელამდე, ესე იგი, მანამდის, სანამ სრულიად უზრუნველყოფილი არ იქნება ყველა ერთა დემოკრატიის არსებობა და განვითარება, და თუ დღეს ჩვენ გვინდა შემოვფარგლოთ კონკრეტიულად სამოქმედო ასპარეზი, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ მორიგ საკითხად დაისმის ამიერ-კავკასიის ერთა დემოკრატიის, შეერთება, დაკავშირება. თუ მთავრობის ხმამ მესამე მთავრობამდე ვერ მიახწია, თუ ამ მესამე მთავრობის ყურს არ ესმის. ამოძახილი ხალხის გულის, რომელიც გაერთიანებისკენ მიისწრაფის,—ჩვენ, როგორც სოციალისტებმა, როგორც დემოკრატებმა პირდაპირ უნდა ამ ტრიბუნიდან მივმართოთ სხვა ამიერ-კავკასიის ერთა დემოკრატიას და უთხრათ:—ჩვენ თქვენთან სოლიდარობა გვსურს და ვინც ამ სოლიდარობას უშლის ხელს, ის არის მტერი ჩვენიც და თქვენიც. (ტაში)

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ სოლიდარობის გატარებას ხელს უშლის როგორც ზოგიერთი მთავრობის მრუდე და არა პირდაპირი პოლიტიკა, ის ერთი მთავარი ძირითადი გეზი ზოგიერთ-პოლიტიკოსებისა,—ეს გახლავთ პოლიტიკა უცხო ძალებზე დამყარების, ეს გახლავთ პოლიტიკა, რომელიც ამბობს, რომ დანარჩენთაგან გამოყოფის საშუალებით შეიძლება მოვიგოთ გარეშე ძალთა თვალში და ამ გარეშე ძალთა საშუალებით მივიღებთ ზედმეტს, ვინემ ჩვენი მეზობლები მიიღებენ. და სადაც ასეთი პოლიტიკა ტრიალებს, იქ დიდი გასავალი აქვს ყოველგვარ იმპერიალისტურ ზრახვებს. ძლიერი და შემძლე სახელმწიფოს იმპერიალიზმი ყოველთვის ამისთანა პოლიტიკის წიაღში ჰპოვებს ნიადაგს თავის იმპერიალიზმის გასამტკიცებლად, და ეს პოპოლიტიკა მავნეა ყველა ერებისთვის ერთნაირად, ვინაიდან დაყრდნობა გარეშე ძალაზე ნიშნავს ამ გარეშე ძალაზე დამორჩილებას, თავისი ხელით თავის კისერზე უღელის დადგმას. და თუ რომელიმე ერი ფიქრობს, უცხო ძალის საშუალებით სხვა ერის დაჩაგრვას, ის თითონ პირველი გახდება ამ უცხოელთა ძალმომრეობისაგან დაჩაგრული. ეს უნდა ესმოდეს მე მგონია დემოკრატიას, ამას გაიგებს სხვა სახელმწიფოთა დემოკრატია და ჩვენთან ერთად მთელ თავის ძალღონეს მოახმარს, რომ საერთოდ გასწიოს მუშაობა, შეებრძოლოს საერთო მტერს მთელ ამიერ-კავკასიის დემოკრატიასთან ერთად და ამით განამტკიცოს შინაური ძალა, შინაური ფრონტი, რომელიც, ჩვენს დამოუკიდებლობას და შინაურ დემოკრატიულ წყობილებას, შეგვინარჩუნებს, თავდამსხმელთ ძალადობისაგან დაიხსნის არამც თუ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, არამედ ამ რესპუბლიკებში ნამდვილ დემოკრატიულ წყობილებას და თავიდან აიშორებს იმპერიალისტთა მონობას.

ამ იდეით მოვუწოდებთ ჩვენ მთელ ხალხს და იმედი გვაქვს, რომ მთელ ამიერ-კავკასიის დემოკრატია, ეს ცხოველმყოფი ძალა შემოკრბება ერთათ, როგორც შემოკრბა საქართველოსდა ადერბეიჯანის დემოკრატია, რომელიც დღეს ჩვენთან შემოერთებულია. (ტაში)

დამფუძნებელი კრება

ივნისის 24 სხდომა იხსნება დღის 12 საათზე ალექ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. კრებას მოახსენეს დღის წესრიგი. მიღებულია დეკრეტის საბოლოო ტექსტი, რათა მთავრობას მიეცეს 20 მილიონი საზღვარ გარედან საქონლის გაცვლის მოსაწყობათ.

მიღებულია კანონ-პროექტი ფრთისა და სოხუმის საბაჟოების შტატების გაფართოების შესახებ და აგრეთვე საბაჟოების მთავარი სამართველოისაც.

ბ-ნ ჯაფარიძის მოხსენებით, მიღებულია დეკრეტი, რათა შეჩერებულ იქნეს საქმის გარჩევა და სისრულეში იქნეს მოყვანილი დადგენილებანი ვაჭარ-მრეწველთა და ხელოსანთა მიერ დაქირავებულ ბინის დაცლა, ბინის შესახებ ახალ კანონის გამოცემამდე.

იმავე მომხსენებლის მოხსენებით, მიღებულია დეკრეტი დეზერტირობის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ.

დეკრეტის თანახმათ მშვიდობიან დროს დეზერტირობისთვის ისჯებიან: ოფიცრები და სამხედრო მოხელეები გამასწორებელ ასეულით 4—6 წლამდე; ჯარის-კაცები—პირველ შემთხვევაში — სამხედრო ციხეში დაპატიმრებით 2—4 თვემდე, განმეორებით შემთხვევებში კი გამასწორებელ ასეულით 4—6 წლამდე. ომის დროს ყველა სამხედრო მოსამსახურე დეზერტირობისათვის ისჯება კატორღით 4 —6 წლამდე, უვადო კატორღით და დახვრეტით. მტრის მხარეზე გადამსვლელები ისჯებიან დახვრეტით და ქონების კონფისკაციით ასევე ისჯებიან ისინი, ვინც განიზრახავს მტრის მხარეზე გადასვლას.

ბოლოს მიღებულია დეკრეტი, რათა შინაგან საქმეთა მინისტრს მიეცეს ნახევარი მილიანეთი ანარქიასთან საბრძოლველათ.

ლუარსაბ ბოცვაძის გარდაცვალების გამო

24 ივნისს, წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას ჰქონდა საგანგებო სხდომა.

განსახილველი საგანი იყო, რითი აღენიშნა საზოგადოებას განსვენებულის **ლუარსაბ ბოცვაძის** ხსოვნა. საზოგადოების საპატიო თავმჯდომარემ **გ. ნ. ყაზბეგმა**, რომელმაც გახსნა კრება მიმართა წევრებს შემდეგი სიტყვით:

„ფრიად არა სასიამოვნო ამბავი უნდა გაუწყოთ, დავკარგეთ საუკეთესო პედაგოგი, მოზარდი თაობის აღმზრდელი, ჩვენი გამგეობის და საზოგადოების საპატიო წევრი. ეს ელა ჩვენთვის საყვარელი ლ. ბოცვაძე.

განსვენებული 24 წელზე ეწეოდა ... წ. კ. გ. საზოგადოებას მთელის თავისი ძალღონით, როგორც ერთგული მუშაკი. განსვენებულში ჩვენ დავკარგეთ მოღვაწე საპედაგოგო ასპარეზე, რომლის მაგიერი სამწუხაროთ ჩვენ არ მოგვეპოვება. მე გამოვთქვამ ჩემს ღრმა მწუხარებას და ნუგეშს ვუთვლი განსვენებულის გაუპედურებულ ოჯახს. მოგიწოდებთ ფეხზე წამოდგომით პატივი სცეთ განსვენებულის ხსოვნას (რაც შესრულებულ იქმნა) ჩვენი მოვალეობაა ღირსეულად დავასაფლაოთ ღირსეული წევრი ჩვენი საზოგადოებისა. უპირველეს ყოვლისა იგი დაკრძალულ უნდა იქმნას ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

დაკრძალვის ხარჯები უნდა იკისროს წ. კ. გ. საზოგადოებამ. გვირგვინის ნაცვლად ჩვენ უნდა გავიღოთ ჩვენი წვლილი ღარიბ ბავშვთა თავშესაფარის სასარგებლოდ. ეს იქნება მიცვალებულის პატივისცემა, რადგან მან მთელი თავისი სიცოცხლე ბავშვების აღზრდას შესწირა.

ყაზბეგის სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა:

1) დაკრძალულ იქმნას განსვენებულის ნეშტი ქართველ მოღვაწეთა სავანეში.

2) განსვენებული დაიკრძალოს საზოგადოების ხარჯით, რისთვისაც ამ თავით გადადებულ იქმნას 5.000 მანეთი.

3) დაესწროს დაკრძალვას გამგეობა მთელი თავისი შემადგენლობით.

4) გამოცხადდეს დაკრძალვის დღე გაზეთებში მთავარი გამგეობის სახელით.

5) გამოუცხადოს გამგეობამ მთელის შემადგენლობით განსვენებულის დამწუხარებულ ოჯახს სამძიმარი.

6) დაკრძალვის დღეს სიტყვის თქმა საზოგადოების სახელით მიენდოს გამგეობის თავმჯდომარეს დავით კარიჭაშვილს და მის ამხანაგს თ. კიკვაძეს.

7) გვირგვინის ნაცვლად ბავშვთა თავშესაფარის სასარგებლოდ გადაიდოს 200 მანეთი.

8) დაკრძალვის საქმის მოსაწესრიგებლად არჩეულ იქნას განსაკუთრებული კომიტეტი. კომიტეტში არჩეულ იქნენ: საპატიო თავმჯდომარე საზოგადოებისა ბ. ნ. ყაზბეგი, გამგეობის წევრნი: ს. იაშვილი, ი. გიორგობიანი და ვარლამ ბურჯანაძე.

იმავე დღეს არჩეულმა განსაკუთრებულმა კომიტეტმა იქონია მსჯელობა დაკრძალვის შესახებ წეს-რიგის შესახებ და დაადგინა:

1) განსვენებული დაკრძალულ იქნას პარასკევს, 27 ივნისს.

2) გადახდილ იქნას პანაშვიდი ყოველ დღე განსვენებულის ბინაზე, საღამოს 6 საათზე.

3) მიცვალებულის გამოსვენება ბინიდან მოხდება პარასკევს დილის 9 საათზე.

4) წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში.

5) ქვაშეთის ეკლესიიდან მიცვალებულს გამოასვენებენ ლორის-მელიქოვის ქუჩით, შემდეგ დამფუძნებელ კრების ქუჩით, ცხედარს დაასვენებენ წ. კ. გ. საზოგადოს ბინის წინ, სადაც წარმოთქმულ იქნება სიტყვები.

6) შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ შოთა რუსთაველის პროსპექტით, ცხედარი დასვენებული იქნება მე 7 ვაჟთა გიმნაზიის წინ, სადაც გადახდილ იქნება მცირე პანაშვიდი.

7) შემდეგ პროცესია გაემართება ვერის დაღმართით დიდუბის ეკლესიისაკენ, სადაც ქართველ მოღვაწეთა პანთეონში იქნება დაკრძალული განსვენებულის ნეშტი.

ყველა დაწესებულებები და კერძო პირები, რომელთაც სურთ რაიმე მონაწილეობა მიიღონ განსვენებულის ხსოვნის აღნიშვნის საქმეში, წინდაწინვე აცნობონ დამკრძალველ კომიტეტს წ. კ. გ. საზ. კანცელარიაში (დამფუძნებელი კრების ქ., № 5).

ლუარსაბ ბოცვაძის ხსოვნას

სიკვდილმაც ჩვენთვის მოიცალა... კიდევ იმსხვერპლა ჩვენი ერთი თვალსაჩინო წევრი: ცნობილი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე, კაცი ფრიად ნიჭიერი, ენერგიით აღსავსე, განუსაზღვრელად შრომის მოყვარე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სახალხო სკოლას, მომავალი თაობის სწავლა-აღზრდას შესწირა მასწავლებელთა მასწავლებელს შავი რეაქციის დროსაც კი ჯეროვან სიმაღლეზე ეჭირა სწავლა-განათლების დროშა; მაშინაც კი სასტიკად ებრძოდა ჩვენ სკოლაში გამეფებულ რუსიციზმს, სქოლასტიკას და ანტიპედაგოგიურ უკულმართ პირობებს; ამ ბრძოლის დროს ლუარსაბის პირუთვნელმა სიტყვამ და მარჯვე კალამმა ბევრ ცრუ პედაგოგებს დაუფრთხო ძილი; ლუარსაბი მუდამ იმარჯვებდა, რადგა-

ნაც ნათელი და ჭეშმარიტი იყო მის მიერ არჩეული გზა... განსვენებული შენატროდა, შეხაროდა განახლებულ, ეროვნულ სკოლას დ მოესწრო კიდეც, მაგრამ ვაი, რომ აღარ დასცალდა სავსებით დამტკბარიყო თავისი შრომის ნაყოფით...

სწორედ, დღეს, როდესაც ჩვენში ახლად ეყრება საძირკველი ნამდვილ ხალხისნურ, ეროვნულ სკოლას, როდესაც ახალი სული ედგმის ჩვენში საერო განათლების საქმეს, აი ეხლა უფრო საჭირო იყო ლუარსაბის ფოლადისებური ენერგია, მაგრამ რა გითხრა შენ, ულმობელო სიკვდილო...

განსვენებული თორმეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, საკუთარის ინიციატივით და ღონისძიებით ცემდა ჩვენში ერთადერთ პედაგოგიურ ჟურნალ „განათლებას", რომელიც ჯეროვანად უწყობდა ხელს სახალხო მასწავლებლის სულიერ განვითარებას, ნერგავდა ჩვენს სკოლებში ევროპის თავისუფალი სკოლის სწავლა-აღზრდის სწორ პრინციპებს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა,—განსვენებულმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია სახელმძღვანელოებს: შეავსო, შეაკეთა, სრულიად გადაახალისა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები; კიდევ რაოდენიმე გეგმა ჰქონდა განსვენებულს ხსენებული სახელმძღვანელოების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, მაგრამ რომ აღარ დასცალდა...

რაოდენიმე წლის განმავლობაში სათავეში ედგა ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებს, რომლებიც მაშინ მარტოდ ემსახურებოდენ ქართველი ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებას. ათი წლის განმავლობაში ითვლებოდა ხსენებული საზოგადოების თვალსაჩინო, დაუღალავ წევრად, თავჯდომარეობდა ამ საზოგადოებასთან არსებულ სასკოლო სექციას, მაგრამ რომელი ერთი შენი დვაწლი უნდა ჩამოვთვალო ამ პატარა წერილში, ჩემო ლუარსაბ... გრძნობამ დამძლია... ცრემლები... ტკბილად განისვენე ძვირფასო ლუარსაბ, შენ საყვარელ იაკობის გვერდით... სანამ ცოცხალი იქნება ერთი სახალხო მასწავლებელი, შენ ბრწყინვალე, შარავანდედით მოცულ სახელს არასოდეს არ დაივიწყებს ქართული სკოლა... მადლიერი ერი მადლიერ შვილს მუდამ გულში გატარებს... მშვიდობით!

გრ. მაჭავარიანი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნთა ექიმების ყრილობა

რეზოლიუცია სამაზრო საერობო სანიტარულ საბჭოს შემადგენლობა-საქმიანობის და საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგე ექიმის შესახებ.

1) სამაზრო საერობო სანიტარულ საბჭოს წევრებათ ითვლებიან: ერობის უბნის ყველა ექიმები, სამაზრო ერობის ორი ხმოსანი, ერობის გამგეობის წევრი—მეთვალყურე ერობის საექიმო ნაწილისა, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი (სასურველია წარმომადგენელი ექიმი იყოს), სამაზრო აფთიაქის გამგე, ფერშლები თითო თვითეულ სამკურნალო უბნიდან და სამაზრო ბეითალი.

2) საბჭოს საგანია: მოარულებთან ბრძოლისთვის პროფილაქტიური ზომების და სავალდებულო დადგენილებების შემუშავება; სამკურნალო-სანიტარული საქმის შესახებ აღრიცხვების მოხსენებების ანგარიშების პროექტების შედგენა და განხილვა; სამკურნალო სანიტარული პერსონალისთვის და დაწესებულებათათვის ინსტრუქციების შედგენა; აგრეთვე შემუშავება სავალდებულო დადგენილებებისა ჰაერის და ნიადაგის და წყლის სისუფთავის დასაცავათ; სანოვაგის და სასმელების ვაჭრობის მოსაწესრიგებლათ და ბინის პირობების გასაუმჯობესებლათ და სხვა და სხვა.

3) საბჭოს თავმჯდომარეობს გამგეობის წევრი.

4) საბჭო ირჩევს მდივანს.

5) სათათბიროს ხმით სამაზრო სასანიტარო საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნან სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენელნი და კერძო პირნი, რომელნიც თავის ცოდნით და გამოცდილებით საქმისთვის სასარგებლო იქნებიან.

6) სხდომები საბჭოსი ხდება წელიწადში არა ნაკლებ ორისა; სასწრაფო სხდომას საჭიროებისამებრ ნიშნავს თავმჯდომარე ან თავის ინიციატივით, ან საბჭოს შემადგენლობის ერთი მესამედის წერილობითი განცხადების შემდეგ.

7) საბჭოს სხდომა კანონიერათ ითვლება როცა სხდომას ესწრება არა ნაკლებ ნახევარი რიცხვი შემადგენლობის.

8) ყველა საკითხები სანიტარულ საბჭოში სწყდება ხმის უბრალო უმეტესობით. ხმების თანასწორობის დროს თავმჯდომარის ხმა სწყვეტს საკითხს.

9) სანიტარული საბჭოს გადაწყვეტილებანი შედიან ძალაში ერობის გამგეობის დამტკიცების შემდეგ.

10) ერობის გამგეობა ნიშნავს საექიმო სანიტარულ განყოფილების გამგე ექიმს საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატების სიის მიხედვით.

შენიშვნა: გამგე ექიმი არის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.

11) ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგეთ მოწვეულ უნდა იქნას ექიმი, რომელსაც აქვს დამთავრებული საექიმო ფაკულტეტის სრული კურსი და ამასთანავე აქვს საექიმო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ ხუთი წლისა.

12) საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგე ექიმი აწარმოებს მაზრის საექიმო-სასანიტარო საქმეებს ერობის გამგეობის წევრთან შეთანხმებით; იმ შემთხვევებში როცა გამგეობის წევრის და საექიმო სასანიტარო განყოფილების გამგე ექიმის შორის ხდება უთანხმოება გამგეობა ერევა საქმეში, არჩევს შექმნილ მდგომარეობას და ესა თუ ის გარდამწყვეტი დადგენილება გამოაქვს.

13) საექიმო - სასანიტარო განყოფილების გამგე ექიმი არის უფროსი ხელმძღვანელი მაზრაში მომუშავე საექიმო პერსონალისა, ის არის პირდაპირი გამგე და მომწყობი მაზრის ყოველგვარ საექიმო სასანიტარო საქმისა.

14) საექიმო-სანიტარულ განყოფილების გამგე ექიმი არის იმავე დროს მაზრის სანიტარული ექიმი.

შენიშვნა: ვინაიდან სანიტარია დიდიმნიშვნელოვანი საქმეა, საჭიროა სადაც შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს მეორე-ამ საქმისათვის მომზადებული ექიმი.

15) საექიმო სანიტარულ განყოფილების გამგე ექიმს აქვს თავისი კანცელარია, ყავს საქმისმწარმოებელი და მიწერ-მოწერას აწარმოებს; ქაღალდები იგზავნება გამგე ექიმის და გამგეობის წევრის (საექიმო ნაწილის გამგის) ხელის მოწერით.

16) საექიმო პერსონალს (ექიმებს, ფერშლებს, ბებია-ქალებს, ფარმაცევტებს) იწვევს და ითხოვს ერობის გამგეობა საექიმო განყოფილების გამგე ექიმის დასკვნის შემდეგ.

შენიშვნა: პერსონალის მიღების დროს გამგეობა და საექიმო-სასანიტარო განყოფილების გამგე ექიმი აუცილებლათ ხელმძღვანელობენ პროფესიონალური კავშირების მიერ წარდგენილი კანდიდატების სიებით.

17) მაზრის სანიტარულ ექიმს (თუ არსებობს განცალკევებით ასეთი თანამდებობა მაზრაში) აბარია საქმიანობის სანიტარული ნაწილი. მაზრაში მისი მოვალეობაა სამკურნალოებისა და პუნქტების რევიზია წელიწადში ოთხჯერ მაინც. სანიტარული ექიმი იმუშავებს სტატისტიკურ ცნობებს, რომელსაც ღებულობს საექიმო უბნებიდან.

რეზოლიუცია ყვავილის აცრის შესახებ.

ყავილის წინააღმდეგ ვაქცინაცია უნდა იყოს სავალდებულო ყოველი მოქალაქისთვის. უნდა აიცრას:

1) ყოველი ბავშვი სანამდი იგი ერთი წლისა გახდებოდეს.

2) ყოველი ყმაწვილი, რომელიც შესრულდება 2 წლისა.

3) ყოველი მოქალაქე სიცოცხლის მეოცდაერთე წლის განმავლობაში, თუ მას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ჰქონდა დადებითად ყვავილი აცრილი ან ყვავილით ავათ არ იყო.

შენიშვნა: სიცხიანი და გამხდარ-დასუსტებულ ავადმყოფების ყვავილით აცრა არ შეიძლება; ამისთანა შემთხვევებისთვის უნდა შეგენილ იქნეს აქტი. რამდენიმე ხნის შემდეგ თუ შესაძლებელი იქნება მათ ყვავილი აეცრებათ; თუ საჭიროება მოითხოვს აცრა უნდა იყვეს ძალ-დატანებით; აცრის საქმე ევალება ერობის და ქალაქის თვითმართველობებს, რომელნიც უნდა აწარმოებდნენ ანგარიშებს და უგზავნიდენ სათანადო დაწესებულებებს.

4) აცრისთვის იხმარება გლიცერინში გახნილი და ორი თვის განმავლობაში საყინულეში ნადები ლიმოა.

5) ვაქცინის მომზადებას და შემდეგ თვით ვაქცინას სახელმწიფოს კომპეტენტური კომისია ან დაწესებულება კონტროლს უნდა უკეთებდეს.

რეზოლიუცია ერობაში სულით ავათმყოფთა მოვლა-პატრონობის შესახებ.

1) პსიხიატრიული საქმე საქართველოს ტერიტორიაზე მთლად ერთხელში უნდა შეერთდეს.

2) ამ ნიადაგზე უნდა მოხდეს შეთანხმება ცენტრალურ ერობისა, ქალაქთა კავშირისა, საქართველოს წითელი ჯვრისა, სამხედრო უწყებისა, რკინის გზის მართველობისა, რომელნიც პსიხიატრიულ საქმეს აქამდი ცალ-ცალკე განაგებენ.

3) როცა მოხდება ამ გვარი შეთანხმება—სურამის პსიხიატრიული კოლონია (ახალშენი) უნდა გადაკეთდეს პსიხიატრულ 220 საწოლიან სამკურნალოთ 180 ხრონიკული და 40 მკვეთრი სულით ავადმყოფთათვის.

4) ქალაქ ტფილისის და ქუთაისის პსიხიატრიული განყოფილებები უნდა დარჩნენ მხოლოთ მკვეთრ სულით ავათმყოფთათვის. იმ ორ დაწესებულების საწოლთან რაოდენობას ერობათა ცენტრი, ქალაქთა კავშირი და სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთმანეთთან შეთანხმებით გამოარკვევენ.

რეზოლიუცია ერობაში სააფთიაქო საქმის მოწყობის შესახებ.

1) რომ ყველა ერობებმა საათანადოთ და მეცნიერულათ მოაწყონ ავათმყოფთათვის წამლეულობის საშუალებით დახმარება, საჭიროა ყველა აფთიაქებში წამლეულობას სპეციალისტი ფარმაცევტი ამზადებდეს.

2) ერობებმა ქალაქ ტფილისში უნდა დაარსონ სააფთიაქო ნივთების ცენტრალური საწყობი, რომელიც ყოველგვარ გავლენის პრეპარატებს მოამზადებს და ფაბრიკა-ქარხნებიდან მიღებულ წამლების გამოსაკვლევათ ექნება ლაბარატორია.

3) ტფილისის ცენტრალური ლაბარატორია და საწყობი მიაწოდებს სამაზრო ერობებს აფთიაქებისთვის და საავათმყოფოებისთვის საჭირო ნივთებს, ავეჯეულობას და წამლეულობას; ყოველ მაზრას თავისი აფთიაქი და მასთან მაზრის საწყობი ექნება; უკანასკნელი წამლებს პერიფერიებს მიაწვდის.

4) რომ მაზრის საწყობებს გაუადვილდეს პერიფერიებისთვის წამლების მიწოდება ცენტრალური სააფთიაქო საწყობი წინასწარ უნდა ამზადებდეს შემუშავებულ წესისამებრ სხვა და სხვა ზომის შუშებში, ყუთებში და პარკებში ამა თუ იმ წამლებს და მოთხოვნილებისამებრ უგზავნიდეს სამაზრო საწყობებში. ეს უკანასკნელი კი მოთხოვნილებისადაკვალათ პერიფერიებს აწვდის.

5) ცენტრალურ საწყობს-ევალება იქონიოს მოთხოვნილების თანახმათ ყოველ გვარი სააფთიაქო და საავადმყოფოებისთვის საჭირო ნივთები.

6) ერობის სამაზრო საწყობი თავის მაზრაში სამკურნალო მცენარეებს აგროვებს და ცენტრალურ საწყობს აწვდის.

7) ერობის აფთიაქებისთვის და სამკურნალოებისთვის საჭიროა ავეჯეულობა შტანგლაზები, რაზედაც იქნება აღნიშნული ამა თუ იმ ერობის ინიციალები.

8) სამაზრო ერობის საწყობები და აფთიაქები ანგარიშს უსწორებენ ცენტრალურ საწყობს, პერიფერიები-სამაზროს.

9) რომ საწყობებში ანგარიში გაადვილდეს საჭიროა ყველაფერ ჭურჭელს, რაშიაც ნივთეულობაა მოთავსებული, ჰქონდეს აღნიშნული აბრა (ტარა).

რეზოლიუცია ერობაში სამშობიარო საქმის მოწყობის შესახებ.

1) სამშობიარო დახმარების განვითარება მკვიდროდ დაკავშირებულია საზოგადო საერობო მედიცინის განვითარებასთან.

2) საჭიროა სტაციონალური საბებიო დახმარების ფართედ მოწყობა. ამ მიზნის განსახორციელებლათ ერობებმა საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში უნდა დაარსონ ცალკე სამშობიარო თავშესაფარები და სამშობიარო განყოფილებანი. საერობო საავადმყოფოებთან სამშობიარო განყოფილებების გამგეებათ სპეციალისტი გინეკოლოგები უნდა დაყენენ.

3) თვითეულ საერობო საუბნო საავადმყოფოში უნდა არსებობდეს განსაკუთრებული სამშობიარო ოთახი მელოგინეთათვის სამოოთხი საწოლით. საჭიროა ბებია-ქალთა რიცხვი გამრავლდეს; უკეთესი იქნება თუ მათ მაგიერ ბებია-ქალ-ფერშლების საკმაო რიცხვი ეყოლება ერობას.

4) ერობის უბნის ექიმების პრაქტიკულ ბებიაობაში სავარჯიშოდ საჭიროა ერობებმა საბებიო კლინიკაში ან რომელიმე დიდ საავადმყოფოში დროებითი (5—6 თვიური) ხან გამოშვებით კურსები მოაწყონ, რითაც აღნიშნულ სპეციალურ დარგის მუშაობა ერობაში ჯეროვანად მოეწყობა.

ყრილობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ექიმი ი. ლიმიური.

მუნიციპალური ცხოვრება

ქუთაისის თვითმართველობაში.

8 საათის სამუშაო დღე ქალაქის საბჭოს მიერ გამოშუშავებული.

§ 1. მუშაობა სწარმოებს ყველა დარგის სავაჭრო დაწესებულებებში ზამთარ-ზაფხულობით 8—2 საათამდე და 4—6 საათ.

შენიშვნა: ა) ეს ნორმა ვრცელდება ყველა იმ სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებებზედ, სადაც იყიდება გაშზალგეული ქანელი. ბ) ამ დარგს ექვემდებარება ბაგრეთვე საათის, ოქრომჭედელთა და მეფრინველეთა სავაჭროები.

§ 2. საყასბოებში და ნედლი თევზის სავაჭროებში: მუშაობა სწარმოებს ზაფხულობით დილის 5—11 და საღამოს 6—8 საათამდე; ზამთრობით 7—12 და 4—7-დე.

§ 3. სანოვაგეს სავაჭროები: ხმელი თევზის, მწვანეულობის და საგასტრონომიო საგნების ზაფხულობით: დილის 5—11 და საღამოს 6—8-დე; ზამთრობით 7—12 და 4—7-დე.

§ 4. სამჭედლოებში: ზაფხულობით 5—11 და 5—7; ზამთრობით 7—1 საათამდე და 4—6-დე.

შენიშვნა: დასვენების დროს ზაფხულობით 11—დან 5 საათამდე, ხოლო ზამთრობით 1—4 საათამდე, სამჭედლოები შეიძლება იყოს ღია, დაქირავებულ მომუშაეთ ეკრძალებათ მუშაობა.

§ 5. საპარიკმახეროები ზამთარ-ზაფხულობით ღიაა: დილის 8—2 საათამდე, და საღამოს 5—7-დე.

§ 6. პირველ ხარისხოვან სასტუმრო რესტორანები და საკანდიტერო—კაფეებში შემოღებულ უნდა იქნეს მუშაობის და მიხედვით მორიგეობა დილის 7-დან ღამის 11 საათამდის.

§ 7. პურ-ღვინის სავაჭროები: ზამთარ ზაფხულობით 8 ს. საღ. 8 ს.

მოჯამუშავეთათვის მორიგეობით 4 ს. დასვენებით.

§ 8. სასადილოები: ზამთარ-ზაფხულობით დილის 9 ს. საღ. 5 საათამდე.

§ 9. ფურნე თორნიები: პურის ცხობა წარმოებდეს დღისით. მუშაობა სწარმოებს ზამთრობით 6—2 და 2—10-დე ზაფხულობით დილის 5—საღამოს 9 საათამდე.

ღამით მუშაობა აღკრძალულია.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება ღამე მუშაობა.

შენიშვნა: თუ პურის გამყიდველი დაქირავებულია მაშინ შემოღებული უნდა იქნეს მორიგეობა.

§ 10. წვრილ სახელოსნოში: სახარაზოები, ქალის ტანისამოსის სამკერვალოები, მეუნაგრეები, ქუდების სახელოსნოები (დედაკაცმამაკაცების). კუბოს სახელოსნოები, საზეინკალო ქვაბის სახელოსნო ტყავის, თასმის სახელოსნოები, სამხატვრო, საღებავი, ობოიშჩიკები ეტლის სახელოსნო, ჟესტის დასამზადებელი, საჩექმეები, ევროპიული და აზიურ სამკერვალოები, საკინძავი, ზამთარ-ზაფხულობით ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე ორი საათის დასვენებით.

§ 11. საკანდიტეროები: ზაფხულობით 7—1 დე და 1—11 ს. ზამთრობით დილ. 8—12 საათამდე.

შენიშვნა: ყველა საკანდიტეროები, სადაც მუშაობა გრძელდება აღნიშნულ დროს განმავლობაში ძეპატრონე ვალდებულია შეიოღოს მორიგეობა მომუშავების, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობა სწარმოებს შემდეგნაირათ:

ზაფხულობით დილის 7—11 ს. საღ. 7—11 ს.
ზამთრობით „ 8—12 6—10 „

დასვენების დროს საკანდიტერო იკეტება

§ 12. წვრილი საჩაიები ზაფხულობით 6—12 საათამდე 6—8 ს. ზამთრობით 7—12 ს. 4—7 ს.

§ 13. აბანოებში ზამთრობით დილის 3—12 საათამდე; ზაფხულობით დილის 7—11-მდე.

შენიშვნა: შემოღებული უნდა იქნეს მორიგეობა: კვირა-უქმეობით იკეტება.

§ 14. კვირა-უქმე დღეების წინ მუშაობა ყველა დარგებში გძელდება ექვსი საათი. სადაც მორიგეობით არ სწარმოებს მუშაობა იქ სავაჭროები იღება დილის 8 ს. და იკეტება 2 საათზე.

ყოველგვარი სახელოსნო მოყვანილი §§ 4, 10-ში იღება დილით ჩვეულებრივათ 8 საათზე, იკეტება 4 საათზე 2 საათის დასვენებით.

შენიშვნა: საყასბოები, საჩაიე, საკანდიტერო, საჭელის დუქნები რჩება ისე, როგორც წინა დღეებში.

§ 15. კვირა-უქმე დღეებში ყველა დაწესებულებანი დაკეტილი უნდა იქნეს.

შენიშვნა: გამონაკლის შეადგენს: ა) საგასტრონომიო.

ხმელი თევზის სავაჭრო, საყასბოები, ნედლი თევზის სავაჭრო და სამწვანეულო, რომლებიც ღიაა ზაფხულობით 5—11 ს.

ბ) კუბოების სახელოსნოები მორიგეობით უნდა იქნეს გაღებული, თანახმათ მესტოლეთა გაწესრიგებისა.

გ) პურ-ღვინით სავაჭროები და რესტორა-

ნები იღება მორიგეობით თანახმად პურ-ღვინით მოვაჭრეთა ბიუროს გაწესრიგებისა.

დ) სასადილოები ისე, როგორც ჩვეულებრივ დღეებში.

ე) საკანდიტეროები ზაფხულობით დილის 7—11. საღამოს 7—11-მდე.

§ 15. ამ სავალდებულო დადგენილების სინისწორით ცხოვრებაში გატარება ევალება ქალაქის მილიციას საუბნო მეთვალყურე კომისიის დახმარებით.

§ 17. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი მიეცემა სამართალში თანახმათ მთავრობის მიერ ნოემბრის 1918 წ. კანონის (§) 29 მუხლის ძალით და დაისჯება ციხეში ჩაჯდომით ერთი კვირიდან 6 ს თვემდე.

§ 18. თანახმათ მთავრობის დეკრეტისა 8 საათის სამუშაო დღის შესახებ 15 და 16 §§ ძალით მცირე წლოვანთათვის სამუშაო დღე ისაზღვრება ექვსი საათით.

შენიშვნა: მცირე წლოვანები სამუშაოდან საღამოებით თავისუფლდება ნაშვადღევის ხუთ საათზე.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე შ. სანებლიძე
საბჭოს მდივანი ილ. ბახტაძე.

—

ტფილისის თვითმართველობაში.

23 ივნისის ხხდომა.

ტფილისის საბჭოს სხდომას ხსნის თავმჯდომარე ბ-ნი ლომთათიძე საღამოს 8½ საათზე. მოახსენებას აკეთებს სამკურნალო სასანიტარო ნაწილის ინსპექტორი ექიმი შ. მიქელაძე ხოლერის შესახებ. მომხსენებლის აზრით საჭიროა მოქალაქეთა აცრა ფართე მასშტაბით მოეწყოს. გარდა ამისა ამბულატორიების შესახებ მოახსენებს საბჭოს, რომ საჭიროა ყერის დალმართზე ერთი ამბულატორიის გახსნა. საბჭო იღებს მომხსენებლის წინადადებებს. შემდეგ ამისა ქალაქის საბჭოს წევრი ფანიაშვილი ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის შუამდგომლობას მოახსენებს საბჭოს. კოოპერატივთა კავშირი ითხოვს ნიხრ გარეშე ვაჭრობას. ეს საკითხი დიდ კამათს იწვევს. კამათში მონაწილეობას იღებენ ბბ. ღლონტი, ქალაქის მოურავი და სხვ. საბჭო უარჰყოფს კოოპერატივთა შუამდგომლობას. შემდეგ ქალაქის მოურავი მოახსენებს საბჭოს ქალაქის ქუჩების სახელების შეცვლის შესახებ, რომელსაც საბჭო ერთხმათ იღებს. დასასრულ საბჭო ქალაქის გამგეობის მეშვიდე წევრათ ირჩევს დახურულ კენჭის ყრით აკაკი პაპავას. (სოც.-ფედერ. ფრაქც. წევრს).

ქალაქის ტერიტორიაზე აგრარული რეფორმების გატარება.

ამ უკანასკნელ კითხვის შესახებ თანახმად ქალაქის თავის პ. მოდებაძის მოხსენებისა ქალაქის საბჭომ ანკეტის ფურცლებზე აღნიშნულ კითხვებს გასცა სათანადო პასუხები, რომლებიც საბჭომ ხვის უმეტესობით მიიღო.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლებმა გინაცხადეს, რომ ისინი ასეთი რთულ საკითხს, როგორიცაა აგრარული რეფორმის ქალაქის ფარგლებში გატარება, წინასწარ ფრაქციაში განხილვამდე საბჭოს მიერ განხილვას სცნობენ მიუღებლად. ამისთვის თავს იკავებენ აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტაში. მასთან განაცხადეს, რომ ისინი წარმოადგენენ ქალაქის საბჭოში ფრაქციის განსაკუთრებულ აზრს.

ტფილისის შრომის ბირჟაში.

მაისის განმავლობაში (24 საუშაო დღე) შრომის ბირჟამ მოახდინა 1010 უმუშევართა რეგისტრაცია, აქედან—813 მამაკაცი და 197 დედაკაცი. ჩაწერილი უმუშევრები თვის განმავლობაში 4084-ჯერ მივიდნენ ბირჟაში. უმუშევრები დაყოფილია შემდეგ კათეგორიებათ: დახელოვნებული მუშები 229 კ., ხამოვაჭრეები 37 კ; ტრანსპორტის მუშები — 31-კ., პირადი სამსახურის—191 კ., სამეურნეო მუშაობა—2 კ., კონტორისა და კანცელარიის მოსაშსახურენი —136 კ., თავისუფალ პროფესიის—32 კ., ჭიენი—23 კ., შავი მუშა—32 კ. და სხვ.—5 კ. ამავე ხნის განმავლობაში ადგილი იშოვა 126 უმუშევარმა ან ჩაწერილთა 12, 4% ვინც უკვე მუშაობს, ისინი შემდეგ კათეგორიებათ დაიყოფიან: დახელოვნებული მუშები—36 კ., ან დახელოვნებულ ჩაწერილ მუშათა 16%, ტრანსპორტის მუშები=2 კ., ე. ი. 6, 4%., პირფარეშობის—34 კ., აქედან ქალი 20 ე. ი. 17,8%; კონტორისა და კანცელარიის 7 კ., ე. ი. 5%, თავისუფალ პროფესიის—5 კ. ე. ი. 16%, შავიმუშაშ—42 კ., ე. ი. 13%.

სასახლის გაღმა

28, 29 ივნისს გაიმართება დიდი სეირნობა ფრონტზე დახოცილ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ. ბალი გაიღება დილის 10 საათიდან. საღამომდი იქნება სეირნობა ბავშვებისათვის ცნობილი ი. მ. სინდუკიანცის ხელმძღვანელობით. იქნება მუსიკა-ზურნა, საზანდარი. ლოტარიისთვის მრავალი ნივთეებია შემოწირული. ამერიკული აუკციონისათვის სეირნობის გამმართველმა კომისიამ შეიძინა ორი ფუთი შაქარი, რამდენიმე ფუთი თეთრი ამერიკული ფქვილი, ჩაი, ღვინო და სხვ... 28, 29 ივნისს მოდით ყველანი სასახლის ბაღში.

უცხოეთში

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

გერმანული პრესა.

გამოქვეყნდა ახალი კაბინეტის შემადგენლობა: საგარეო საქმეთა მინისტრი—გერმანელი. (მეუმრავლესე სოციალისტი) შინაგან საქმეთა დ—რი დავიდი—(მეუმრავ. სოციალ.); ფინანსთა და კაბინეტის ვიცე-პრეზიდენტი—ერცბერი; ეროვნულ-ეკონომიის მინისტრი—ვასსელი; შრომის—შლიკე (მეუმრავ. სოც.); სახელმწიფო კონტროლიორი—მეიერი (ცენტრის პარტია); ფოსტის მთავარი გამგე—გესბერტსი. გზათა მიმოსვლის ახალშენების მინისტრიდან ნაცყოფი ბელოი, მასვე ევალება ახალშენების საქმეთა ლიკვიდაცია; სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრი—ნოსკე, სასურსათო საქმეების—შნიდტი, იუსტიციის მინისტრი ჯერ არ არის დანიშნული. გაზეთების ცნობით, მოითხოვენ, რომ ზავის მოწერის შემდეგ ამ თანამდებობაზე დააბრუნონ წინანდელი მინისტრი ლანდსბერგი, რომელიც ძალიან ეწინააღმდეგება ზავის მოწერას.

საფრანგეთის სარდლობამ დაპყრობილ ოლქებში აკრძალა საქონლის გადაზიდვა ამ ტერიტორიაზე.

ინგლისური პრესა.

პარიზში გერმანელებმა ოფიციალურად აუწყა მოკავშირეებს, რომ მათ განზრახული აქვთ საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერონ. არ შეიწყნარეს მათი თხოვნა, რომ ვადა 48 საათით გაეგრძელებინათ. ბერლინიდან დეპეშით იუწყებიან, რომ შეიდენანი დიდი ხნით აპირებს ნეიტრალურ სახელმწიფოში წასვლას. გრაფი ბროკდორფ რანტცაო თავის მამულში მიემგზავრება, შლეზვიგ გოლშტეინში.

ერთი სენატორის წინადადება, რომ ხალხთა ლიგა საზავო ხელშეკრულებიდან გამოყონ, შეიწყნარა სენატმა, რომელმაც ამის შემდეგ მთელი თავისი ყურადღება მიაქცია სენატორ რუტის წინადადებას, რომ ხალხთა ლიგა იმ პირობით იქნეს აღიარებული, თუ მონისეს დოქტრინას მხარს დაუჭერენ.

სხვა და სხვა.

— 23 ივნისს ნაშუადღევს დახვრიტეს შარშან გორში მოკლულ ოფიცრის დავით წერეთლის მკვლელი, ყოფილი გვარდიელი როსტომოვი, რომელსაც ამას წინეთ სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

— ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი იუსტიციის სამინისტროს ატყობინებს, რომ ამ დღეებში ოზურგეთში დახვრიტეს კონსტანტინე ნაკაიძე და ნიკოლოზ მიქაბერიძე, რომელთაც ოზურგეთის ფოსტაზე თავდასხმისათვის სასამართლომ სიკვდილი გადაუწყვიტა.

— გენ. ბაგრატუნი პარიზს გაემგზავრა.

— ოდესიდან პეტერბურგიდან გვატყობინებენ ამას წინათ მოკლულ სახალხო კომისრის ბ-ნ ურიცკის ნაცვლათ აურჩევიათ არჩილ ბლატონის ძე დადიანი, რომელიც პეტროგრადში საგარეო საქმეთა სამინისტროში მსახურებდა.

— 23 ივნისიდან ტფილისში დაარსდა და მოქმედება დაიწყო საერთაერთო ბიურომ, რომელის დანიშნულებაა ტფილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა მისიებთან დამოკიდებულება იქონიოს. აგრეთვე მიაწოდოს უცხოელ დაინტერესებულ პირებს ყოველგვარი ცნობები საქართველოს შესახებ, დაეხმაროს ყველა მას, ვინც მოინდომებს ევროპის სახელმწიფოებთან რაიმე დამოკიდებლობას.

— შრომის ბირჟაში მაისის დამლევამდე ჩაწერილა სულ 1010 უმუშევარი, რომელთაგანაც 813 მამაკაცია, 197 დედაკაცი. 200 კაციდან, რომელნიც ქალაქის მილიციამ დაიპატიმრა თავისუფლების მოედანზე შაბათს 100 გაანთავისუფლა, ხოლო საბოლოოთ დაატუსაღა 40 კაცი, რომელნიც საგანგებო რაზმის უფროსს გადასცა.

გოროს-მოქალაქეთანი.

— 23 ივნისს ლაზარევის ქუჩაზე № 65 სახლში (სასადილოში) ლევან ხუციაშვილს გაუვარდა ვინტოვკა და მოჰკლა იქ მყოფი ლტოლვილი.

— 23 ივნისს საღამოს 8 საათზე მოწაფე ჰაიკ აგიანცმა მილიციას განუცხადა, რომ მან მატოციკლეტით შემთხვევით გადაუარა 5 წლის ბავშვს და დააშავა. ბავშვი მან თვით მიიყვანა არამიანცის საავადმყოფოში.

ღია წერილი.

რაც გონს მოვსულვარ, სამშობლო, მშობელი ხალხი და მშობლიური მწერლობა იყო ჩემი მასულდგმულებელი, მაგრამ გარამეობამ უცხო ცის ქვეშ, უცხო ხალხის სამსახურში დამაბერა და მხოლოდ 1917 წელს გახდა შესაძლებელი ჩემი სამშობლოში დაბრუნება.

ამას შემდეგ, მგონია, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ ბევრი მხარე საქართველოსი სრულიად არ მინახავს, ბევრგან მხოლოდ ბავშობისას ვყოფილვარ. შემთხვევით, ისიც ოითო ოროლა სოფელში.

რომ ეს დიდი ნაკლი მცირედ მაინც შევივსო, განვიზრახე, ამ ზაფხულს ვისარგებლო სამსახურიდან თავისუფალ დროთი და დავიარო ზოგიერთი მათგანი, თან, სადაც კი ეს ადგილობრივ პირობების მიხედვით მოსახერხებელი იქნება, გავმართო სალიტერატურო დილა, ან საღამო და წავიკითხო ჩემი უკანასკნელი ნაწერები, რომელთაგან ბევრი ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია.

ამიტომ ვთხოვ ჩემ პროვინციელ-თანამგრძნობთ, შეატყობინონ, სად იქნება შესაძლებელი აღნიშნულ დილის, ან საღამოს მოწყობა, რომ წინდა წინვე შევადგინო ჩემი მომავალი მოგზაურობის გეგმა და მისვლის დრო ვაცნობო მათ...

ჩემი მისამართია: ქ. ტფილისი, ვარდისუბნის ქუჩა, № 47, პეტროვსკის ქუჩის ზემოდ.

დუტუ მეგრელი.

P. S. ვთხოვ სხვა ვაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი. დ. მ.

შეგოწირულება.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო:

1) მიხეილ ხანანაშვილისაგან განსვ. ი. ოცხელის ხსოვნის აღსანიშნავად უნივერსიტეტის სასარგებლოდ ორას ორმოცდა ათი მ.

2) ივანე ივანეს ძის ზურაბიშვილისაგან განს. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის გვირგვინის ნაცვლად მის ხსოვნის აღსანიშნავად ასი მან.

3) „სოლეილ-დორის“ მაღიზიის პატრონისაგან განსვ. პროფ. ი. ყიფშიძის ფონდისათვის ასი მან.

4) ქ-ნ მაგდალინა ჯიქიასაგან, მის მიერ სოფ. ბანძაში ნაცნობთ შორის შეგროვილი სამას ოცდა შვიდი მან. და 10 კაპ.

უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

ბიბლიოგრაფიანი

თეოდორე პანაიოტის ძე მიხაილიდი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ბერძნის ეროვნული პასპორტი მიღებული ქ. თავრიზში ფრანგების კონსულისგან დეკემბრის 24, 1913 წ. ბილეთი, მიღებული ტფილისის საგუბერნიო კომისარიატიდან დეკემბერში 1918 წ. პასპორტი და ბილეთი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 826 3—2

გზათა სამინისტროსთან არსებული სარეგისტრაციო კომისია აცხადებს ავტომობილების პატრონთა საყურადღებოთ: 1) ყველა ის პირნი, ვინც შემოიტანა განცხადება და დღემდე არ გასინჯულა მათი ავტომობილი, მოვალენი არიან წარმოადგინონ ავტომობილი სარეგისტრაციო კომისიაში (მიხაილოვის ქუჩა № 50) 2) ვინც გაყიდა ან გადაიტანა სხვა ადგილას მოვალენი არიან განაცხადონ ამის შესახებ წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქმნება სასტიკი ზომები. ვადა განცხადებისა 27—28 და 29 ივნისი. 1129 2—1

ტფილისის სამხედრო ბინათა დისტანცია ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ა. წ. 30 ივნისისათვის დღის 12 საათზე დისტანციის შენობაში (ინჟენერის ქუჩა № 2) დანიშნულია ვაჭრობა ზეპირ და დახურული განცხადებების შემოტანით ქ. ტფილისში რკინის კრაოტების შესაკეთებლად იჯარით გაცემის შესახებ, თანახმად დამტკიცებულ ღირებულების აღრიცხვისა 11,628 მან. სამუშაო შესრულებული უნდა იქმნას ორი კვირის ვადაში დღიდან იჯარის დამტკიცებისა. განცხადებებს უნდა დაერთოს: პასპორტი და საწინდარი (ბალოგი) ხელშეკრულობის თანხის 15%. ღირებულობის აღრიცხვის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე დისტანციაში 10—1 საათამდე.

1130 3—1

გიორგი ივანეს ძე კოლესნიკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, № 1755 მიღებული ტფილისის ტიფლისის პოლიციმეისტერისგან 1908 წ. თებერვლის 9-ს. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 823 3—2

კოსტა ტიმოთეს ძე მიქიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 2 მიღებული ზნაკვის, რაჭის მაზ., კომისარიატიდან 1919 წლ. იანვარში. მპოვნელს სთხოვს მიუტანოს დეზერტირების ბაზარში, სავაჭრო № 243, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ითვლება. 825 3—2

ტფილისის სამხედრო ბინათა დისტანცია აცხადებს, რომ ამა წლის 1 მკათათვის დღის 12 საათამდე დისტანციის შენობაში (საინჟენერო ქ. № 2) დანიშნულია ვაჭრობა პირადი და დახურული განცხადებების შემოტანით თავისუფალი სახაზინო მიწის ზომით 681,80 კვ. საჟ. იჯარით გაცემისა, 1—2 წლის ვადით, რომელიც ანასტასიის ქუჩის ბოლოში,—იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის ახლოს მდებარეს, შემდეგ პირობებში: საიჯარო გადასახადი წინდაწინ უდგა იქნეს შეტანილი; მოიჯარადრეს ნება აქვს ააგოს დროებითი შენობები, რომლიდანაც საიჯარო ვადის ბოლოში მიწა უნდა გაიწმინდოს, მიწის ზედაპირის შეცვლა დისტანციის ნებადაურთველათ აკრძალულია. 1130 3—1

აქციზის სამმართველო ამით აცხადებს, რომ ტიგრან გრიგოლის ძე ოთარიოვს, ღვინის სარდაფის პატრონს ტფილისის მერვე უბანში, 19 თებერვლის ქუჩაზედ, № 3, დაუკარგავს ტფილისის სახელმწიფო ხაზინიდან ღვინის ბანდეროლების გამოტანის ნებართვის მოწმობა № 45; 29 იანვრიდან ა. წ. ეს მოწმობა ამიერიდგან გაბათილებულათ ითვლება. 813 3—3

სამხედრო სამინისტროს სტამბა აცხადებს, რომ, მან დაჰკარგა ტალონი ასიგნოვკისა № 8761 (1143 მან.), რომელიც იყო გამოწერილი ტფილისის ქალაქის სახალხო ბიბლიოთეკის მიერ. ზემო ხსენებული ტალონი გაუქმებულია. 828 3—2

დაკარგულია კვიტანცია ტფილისის კერძო ლომბარდისა № 78298, მიცემული 1918 წ. მარგარიტა გამალეიას სახელზე. 817 3-3

დაკარგულია: 1. ნაჩუქრობის ბარათი მიწის ნაჭერზე კოჯორში და 2. ქარვასლის გაყოფის აქტი არშაკ ბალდასარის ძე ხოსროევის სახელზე. 815 3—3

გიორგი ნიკოლოზის ძე გოდერძაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა № 403 და ატესტატი, მიღებული ავლაბრის მესამე პირველ დაწყებითი სასწავლებლის კანცელარიიდან. ატესტატი და მოწმობა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 816 3-3

აქციზის სამმართველო ამით აცხადებს, რომ ზაქარია ალექსის ძე კულიაშვილს, სპირტის და არაყის საწყობის პატრონს, რომელსაც საწყობა აქვს ქ. ტფილისში მესამე უბანში გრაფის ქუჩაზედ № 3, დაუკარგავს სპირტის გადმოსატანი მოწმობები 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247 და 248 №№-ბით, აღებული 14, 15 და 16 აპრილიდან ა. წ. ეს მოწმობები ამიერიდგან ითვლება გაბათილებულათ. 814 3—3

დაკარგულია საქართველოს რკინის გზის ასიგნობის ტალონები №№ 4538, 4702,—1918 წლის. და 3406—1919 წლის, რომლითაც მოიჯარადრე ლიუდვიგ გოლბის უნდა მიეღო ფული ტფილისის ხაზინიდან. ტალონები გაუქმებულათ ითვლება. 827 3—2

მატრონა იაკობის ასული ჩევარდოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის ს